

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ დირექტორის  
ბრძანება № 008

ქ. თბილისი

10.07.2024 წელი

პროგრამის “მომავალი ჩვენია! - აფხაზეთში და გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის და აფხაზეთიდან იგპ-ის კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში შემოსული განაცხადების შეფასების კომისიის შექმნის ბრძანებაში N004 ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“ წესდების 1-ლი მუხლის 1.8; 1.9; 1.10 და 1.11 პუნქტების, მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის; მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის; მე-5 მუხლის 5.2 და 5.3 პუნქტების,

პროგრამის “მომავალი ჩვენია! - აფხაზეთში და გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის და აფხაზეთიდან იგპ-ის კეთილდღეობისთვის“ თანახმად;

2024 წლის 22 მაისის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების N 40,  
2024 წლის 2 ივლისის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების N 48  
2024 წლის 8 ივლისის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის წერილის N02/183 საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. ცვლილება შევიდეს 2024 წლის 29 მარტის ბრძანება N 004-ის 2 და 3 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პუნქტი 2:

„განისაზღვროს კომისიის შემადგენლობა სულ 6 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან 5 ხმის უფლების მქონე-გადაწყვეტილებაუნარიანი წევრია და ერთი - კომისიის მდივანი, ხმის უფლების არ მქონე პირი“

პუნქტი 3:

დამტკიცდეს კომისიის წევრები:

- 3.1. გიორგი ჯინჭარაძე - აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე
  - 3.2. გოგიტა თედორაძე - სსიპ „აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი“ - კომისიის წევრი
  - 3.3. დავით მიქვა - აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი
  - 3.4. მერაბ დგებუაძე - აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მთავარი მრჩეველი - კომისიის წევრი
  - 3.5. ნიკა ჩერქეზია - იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სამშვიდობო პოლიტიკის და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი
  - 3.6. ორგანიზაციის თანამშრომელი - პროგრამების მენეჯერი ნინო კვიციანი - კომისიის მდივანი, ხმის უფლების გარეშე.
2. ბრძანების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. დაევალოს ორგანიზაციის პროგრამების მენეჯერს - კომისიის მდივანს, კომისიის წევრებისათვის ბრძანების გაცნობა და გამოქვეყნება 2 სამუშაო დღის მანძილზე ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯაში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე12 კმ, #6)

ვახტანგ ფოჩხუა



დირექტორი